საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/05/2026

MES 8 26 0000600234

გადაწყვეტილება

„შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის №1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი №578765, 15/05/2026 და №597762, 20/05/2026 წერილების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 600173, 21.05.2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის №1755828 გადაწყვეტილების დანართი №1-ის პირველ ნაწილში შევიდეს ცვლილება და პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს - ***„ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი".***
2. „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025

წლის 9 დეკემბრის №1755828 გადაწყვეტილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად.
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 მაისის სხდომის № 600173 ოქმის №9 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

დანართი №1

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 1755828; 09/12/2025
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180 კრედიტი - ცენტრის წერილი 646960, 01/06/2026
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2026 წლის 21 მაისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე	

	ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 09 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე